აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შექმნის, კომისიებში წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 28 ოქტომბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შექმნის, კომისიებში წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 28 ოქტომბრის №4 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 07.11.2012) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:
ა) „ბ-გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია – 7 წევრი;
გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია – 7 წევრი;".
ბ) „ე-ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია – 7 წევრი;
ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია – 7 წევრი.".

2. მე-2 მუხლის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება"	ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა"	ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფლება"	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები"	ფრაქცია „დემოკრატიული აჭარა"	ფრაქცია „თანასწორობა"
1	აგრარულ და თვითმმართვ-ელობის საკითხთა	1	1	1	1	1	1	1

2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	1	1	1	1	1	1	1
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	1	1	1	1	1	1	1
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	1	1	1	1	1	1	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	1	1	1	1	1	1	1
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	1	1	1	1	1	1	1“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე

ჩაქვი,
2016 წლის 17 მარტი
№158-უ.ს.გ.ს.